**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ადარნასე

ადარნასე

ადარნასე, ქართლის ერისმთავარი (VII ს. I ნახ.), გუარამის ძე.

უფლისწულობაში ატარებდა ვიპატოსის ბიზანტ. საკარისკაცო ტიტულს. ამ ტიტულით იხსენიება იგი მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმ. კედლის რელიეფურ გამოსახულებაზე, როგორც ამ ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი. აგრეთვე მცხეთის ჯვრის ქვაჯვარის კვარცხლბეკის წარწერაში. VII ს. დამდეგიდან ა. ქართლის ერისმთავარი იყო. იგი შეცვლილ *პოლიტ.* ვითარებაშიც ცდილობდა გაეტარებინა მამამისის პრობიზანტ. საგარეო და სარწმუნოებრივი გეზი, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ქართლისა და სომხ. საეკლესიო განხეთქილებაში (იხ. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში). ა. რამდენჯერმე იხსენიება ამ განხეთქილების ისტ. ამსახველ სომხ. „ეპისტოლეთა წიგნში“ (პირველად 606 წ. წერილში) ქართლის სხვა მთავრებს შორის, მაგრამ როგორც ერისმთავარი, ყოველთვის პირველი წერია. VII ს. 10-იან წლებში ა. ირანელებმა გადააყენეს, მაგრამ სამხრ. კავკასიაში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების (627–628) შედეგად მან კვლავ დაიბრუნა ერისმთავრობა.

VII ს-ის 30-იანი წლების ბოლოს ა-ს იხსენიებს სომეხი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცი, როგორც ქართველთა ქვეყნის „დიდად პატივცემულ იშხანს (მთავარს)“, რ-საც ჰერაკლე იმპერატორისაგან სამმაგი პატივი ჰქონია მინიჭებული. ამ ისტორიკოსის ცნობით, ა-ს „მშვიდობის ურღვევი კავშირი“ შეუკრავს ალბ. მთავარ ჯავანშირთან, მიუშველებია მისთვის ქართველთა ჯარი, რ-ის დახმარებითაც ჯავანშირს გამარჯვება მოუპოვებია ირანელებზე უტის მხარეში.

*წყარო:* ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის *გამოც.*, თბ., 1968; მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის *გამოც.*, თბ., 1985.

*ლიტ.*: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI–VIII საუკუნეებში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

***ა. ბოგვერაძე***